

მიხეილ ბერიშვილი

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა

The University of Castelo Branco

„როდესაც გავიგე გაცვლით პროგრამაში მოვხვდი, სანამ გავიაზრე, უკვე პორტუგალიაში ვიყავი, ისტორიითა და ულამაზესი არქიტექტურით დახუნძლულ ქვეყანაში. თავიდან ნამდვილად რთული იყო, ემოციებით სავსე, ახალი გარემო, ახალი საზოგადოება, თუმცა სწავლა ჩასვლისთანავე დაიწყო და მასზე გადავერთე.

ვსწავლობ ელექტრონულ და კომპიუტერულ ინჟინერიაზე. საგნებიდან გამოვარჩევი მობაილ პროგრამირებას, რადგან ჩემი ინტერესის სფეროსთან ახლოს არის და საშუალებას მაძლევს პრაქტიკული გამოცდილება მივიღო და ახალი პროგრამირების ენები შევისწავლო, რაც უმნიშვნელოვანესია ჩემთვის, როგორც software developer-ის წინსვლისა და განვითარებისთვის.

უნივერსიტეტის კამპუსი პორტუგალიის ერთ-ერთ ულამაზეს და მშვიდ ქალაქში მდებარეობს. სტუდენტური ცხოვრება მოიცავს როგორც სპორტულ აქტივობებს, ასევე საგანმანათლებლო კონფერენციებს.

გამომდინარე იქიდან, რომ სწავლის პარალელურად რემოუტად ვმუშაობ, თავისუფალი დრო ნაკლებად მაქვს, თუმცა, როგორც კი შანსი მეძლევა განვიტვირთო, დროს არ ვკარგავ და ახლადშეძენილ მეგობრებთან ერთად ვატარებ დროს, ვათვალიერებ პორტუგალიის ულამაზეს ქალაქებს, ღირსშესანიშნაობებს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ჩემს მოგზაურობას.

გაცვლითი პროგრამა უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს განათლების მიღებასთან და განვითარებასთან ერთად, ვიმოგზაუროთ, შევექიდოთ ახალ გამოწვევებს დამოუკიდებლად, შევიძინოთ უამრავი მეგობარი და გავხადოთ ჩვენი სტუდენტობის პერიოდი მეტად საინტერესო და დასამახსოვრებელი.”